



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030630955528319

31 / დეკემბერი / 2019 წ.

თბილისი #06-267/თ

მაღალი რისკის შესაბამის ჯგუფში სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო მედიკამენტის ოსელტამივირის მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისათვის გადასაცემად საჭირო ღონისძიებათა შესახებ

საკარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „ი“ და „უ“ ქვეპუნქტების და „მაღალი რისკის შესაბამის ჯგუფში სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 30 დეკემბრის #01-443/თ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომში ცენტრი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან (შემდგომში - სამინისტრო) გადმოცემული 30 000 (ოცდაათი ათასი) კაფსულა „ოსელტამივირი“ (შემდგომში - მედიკამენტი) აყვანილი იქნას ბალანსზე და ბალანსიდან ბალანსზე გადაეცეს მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს (შემდგომში - სჯდ ცენტრი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მოთხოვნის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა პირად განისაზღვროს ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი ზურაბ ზარიამძვილი.
- სჯდ ცენტრებს დაევალოთ:
 - მედიკამენტის გაცემა განხორციელონ მიმდინარე წლის 31 დეკემბრიდან ორსულეებზე და სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებზე, რომელთა სარეგისტრაციო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა NIV/100-ა, რეცეპტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - მედიკამენტის გაცემის ყოველი შემთხვევა (2019 წ. პირველი კვარტლის ანალოგიურად პიროვნებათა პერსონალური მონაცემებით) აღრიცხონ სპეციალურ ჟურნალში. მედიკამენტის მიღება პირთა პერსონალური მონაცემების სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალები იქონიონ ადგილებზე კონფიდენციალობის სრული დაცვით;
 - გაცემული მედიკამენტის რაოდენობის შესახებ ყოველი კვირის პარასკევს 16 საათამდე ინფორმაცია (სატელეფონო და/ან ელფოსტით) წარმოადგინონ ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამმართველოებში და განყოფილებებში (იხ. დანართი), გარდა აჭარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრისა, რომელმაც ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ცენტრში. მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის მხარეების სჯდ ცენტრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა წარადგინონ რუსთავისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების სჯდ ცენტრებში;
 - „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ უქმე დღეებში მედიკამენტის მეუფერხებელი მინოდება/გაცემის უზრუნველსაყოფად ე.წ. სანღში მორიგეობის პრინციპით გამოყოფნ მორიგე სპეციალიტები, რომელთა საკონტაქტო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება, როგორც ბენეფიციარების ასევე, მათი ოჯახის წევრებისა და სამედიცინო დაწესებულებებისთვის;
 - ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებმა, აჭარის, მცხეთისა და რუსთავის სჯდ-ებმა, უზრუნველყონ სჯდ ცენტრებიდან გაცემული მედიკამენტის რაოდენობის სიზუსტის მონიტორინგი და აგრეგირებული მონაცემების მონოდება ცენტრში ყოველი კვირის პარასკევს 17 საათამდე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: z.zhzhzhiani@ncdc.ge; z.zariashvili@ncdc.ge; i.karseladze@ncdc.ge.
- ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს პაატა იმნაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

